ამავე დროს ტოპონიმოლოგია მეტად რთული კატეგორიაა ისტორიული წყაროებისა, კერძოდ — თავისი ადვილად ცვალებადი ხასიათის წყალობით, და იმავე მიზეზით მკვლევრისათვის საკმაოდ მესხლეთ გზას წარმოადგენს. საკმაოა აქ დავასახელოთ საქართველოს გეოგრაფიულ სახელთა ცვლილების ორიოდ მაგალითი: 1. ძველი ქართული „ცხუმი“ || „ცხომი“ (აქედან გვარები: ცხომარია, ცხომელიძე) თურქულ მეტყველებაში, რომელიც სიტყვის დასაწყისში თანხმობითა თავმოყრას ვერ ითმენს და რომელსაც არც აფრიკატი „ც“ მოეპოვება, სახეს იცვლის „სუხუმი“-ად, რაც ბატონდება კიდევაც; 2. არა ნაკლებ ცნობილი საქართველოს ძველ ისტორიაში პუნქტი, „კლდე-კარი“ (კლდე-კარი) თურქულივე მეტყველების წრეში იცვლება „გოდაკლდარ“-ად, რაც მკვიდრდება რუსულ რუკებზე; 3. „ერთაწმინდა“, სახელწოდება თავისი ძველი ტაძრით განთქმული სოფლისა ქართლში (წითელ-ქალაქთან), მოდის „ესტატე წმინდა“-დან (წმ. ესტატეს სახელზე იყო აშენებული ხსენებული ტაძარი); განვითარების მთავარი ეტაპები აქ იქნება: ესტატ-წმინდა → ესთა-წმინდა (დადასტურებული გვაქვს დოკუმენტალურად) → ერთა-წმინდა....

ცხადია, რომ ტოპონიმოლოგია ადვილად შესაძლოა ზღვა შეცთომების წყაროდ იქცეს, მეთოდოლოგიური სიშეცდომის ოდნავი შესუსტების პირობებში. გასაგებია აგრეთვე, რომ ტოპონიმოლოგიაში ყველაზე დიდ სიფრთხილეს მკვლევრისაგან ინდივიდუალური მოვლენები მოითხოვს და ყველაზე საიმედო მისთვის ტიპოლოგიური ანალიზი რჩება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა გეოგრაფიული სახელების მორფოლოგია....


¹ ამოღებულია მოხსენებიდან, რომელიც წაკითხული იყო სტალინის სახ. თბ. სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის, კ. მარქსის გარდაცვალების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ, საჯარო სხდომაზე 1933 წლის 26.VI-ს და ოთხი უნივერსიტეტის კონფერენციაზე 1936 წ. 28 მაის, ქ. თბილისში.

საქართველოს ტოპონიმის ტიპური მორფოლოგიის მხრივ განხილვისას ჩვენ ყურადღება მიიქცია დას. საქართველოს გეოგრაფიულმა სახელებმა — ფსა დაბოლოებით, პირველ რიგში — სუფსა-მ, დიდმა მდინარემ გურიაში. ფორმანტის გამოყოფაში გვშველიდა იმ მთის (და სოფლის) სახელი, სადაც სათავე აქვს ამ მდინარეს: სურები. რადგანაც — ები აქ ქართული მრავლ. რ. დაბოლოება ჩანს (შეადრ. ტოლა და ტოლები, გურიაშივე) საფიქრებელი ხდებოდა რომ მდინარემ სახელი მიიღო მთისაგან: სუ-ფსა — სურ-ფსა, ე. ი. „სურის (სურების) მდინარე“.

გეოგრაფიულ (მდინარეების) სახელების ეს ფორმანტი დადასტურდა აფხაზეთშიაც: ლაშფს (ერთვის ტბას რიწას), ხეფს || ხეფს (ერთვის ზღვას გუდაუთის ჩრდ.-დასავლეთით), ააფს („ბაკლანოვკა“; ერთვის ზღვას გუდაუთის სამხ.-აღმოსავლეთით), გუმს (მოდის გუმ-ფსუდან — გუმის წყალი). იგივე ფორმანტი გვაქვს ანაყოფსთა-ს მსგავს წარმოებებში, სადაც ხეობის სახელი, აფხაზურ — თა ფორმანტით ნაწარმოები, შეცთომით გადატანილია მდინარეზე (როგორც „გუმისთას“ შემთხვევაში არა-აფხაზთა მეტყველებაში; ნამდვილად გვაქვს: გუმ — ადგილის სახელი, გუმფსუ — გუმსუ — მდინარის სახელი, გუმფსთა — გუმსთა — ხეობის სახელი). მართალია, აფხაზურში არსებობს დამოუკიდებლად სიტყვა „აფსთა“ „ხეობის“ მნიშვნელობით, მაგრამ ცალკეულ ხეობათა სახელები, მდინარეთა სახელების მიხედვით, იწარმოება არა ამ სიტყვის მემკვიდრით, არამედ მარტივად — თა ნაწილაკის საშუალებით: ბზფთა — ბზიფის ხეობა, კუაღრთა — კოდორის ხეობა და სხვა.

ახალი არე მოცემულ სტრუქტურის სახელთა გავრცელებისა და მათი სიძველე დადასტურებულია ანტიკური და ადრინდელ-ფეოდალური წყაროებით. ჭოროხი, მაგ., ანტიკურ მწერლობაში ზოგჯერ აკამფსი-დ იწოდება [1]. მართალია, ძველი მწერლები ცდილობენ ეს სახელი ბერძნული ეტიმოლოგიის მქონედ გამოაცხადონ, მაგრამ აშკარაა რომ აქაც, ისე როგორც სხვა შემთხვევაში, ჩვენ მხოლოდ ადგილობრივი სახელის გააზრიანებასთან გვაქვს საქმე. სომხური ანონიმური გეოგრაფია გვაწვდის დიდად საყურადღებო ცნობას, რომ ჭოროხს „ეგრისელნი აკამსისს უწოდებენ, ხალდები-კი — კაკამარ“-ს [2]. ამ მოწმობით: ა) ფორმა „აკამსისი“, ე. ი. აკამფსისი“ (შეადრ. გუმსა || გუმფსა) ადგილობრივად იხმარებოდა; ბ) ფუძე ამ სახელწოდებისა სხვა გაფორმებითაც იყო მოცემული, ვინაიდან (კ)აკამ-ფს-ის და კაკამ-არ ერთიდაიმავე ფესვის ნაყარი უნდა იყოს (საძიებელია — არ ნაწილაკის მნიშვნელობა; ხომ არ არის იგი ნაშთი ჭანურ წკარ || წარ-ისა, „წყლის“ აზრით?). ანონიმი ბიზანტიელი გეოგრაფი, რომელმაც არიანეს პერიპლი შეავსო ახალი ცნობებით, ამბობს რომ მის დროს (V ს. ახ. წ.) მდ. ჰიპს (თანამედროვე აფხაზეთში) ლაგუმფსა ეწოდებოდა. ჩერქეზული ტერიტორიისათვის იგივე ავტორი გვამცნობს რომ ძველ ლაზიკაში „არის ამჟამად ეგრეთწოდებული ნიკოფსისი, რომლის ახლო დის მდინარე, ამჟამად წოდებული ფსახაფსისი-ად“. იქვე ძველ ახე-ასთან დასახლებულია მდ. ტოფსიდა [3].

ნიკოფსია, უკეთ — ნიკოფსი კარვად არის ცნობილი საქართველოს ისტორიიდან და ეს სახელი შენახულია დღემდის ადგილობრივ „ნიგეფსუხვა“-ს



(Ничепсухо) სახით; მდ. ნიგეტსუხვას სათავეებთანვე იღებს თავის სათავესაც ჩრდილოეთისაკენ მიმდინარე „ფსაჭუფსა“ (Псекупс), რომელიც, რათქმაუნდა, არის ანონიმის „ფსახაფსის“.

ამრიგად, -ფსა, როგორც მდინარეთა სახელების მაწარმოებელი ფორმანტი, ეჭვს გარეშე აღმოჩნდა. ასევე უდავო იყო ჩვენთვის რომ ეს ნაწილაკი არის ჩერქეზ. სიტყვა „ფსუ“, რომელიც ნიშნავს „წყალი“, „მდინარე“ და რომელიც აწარმოებს მრავალი მდინარის სახელს, ჩერქეზთა ყოფილს ან აწინდელ ტერიტორიაზე (ფუნქციურად შეადრ. ქართ. „წყალი“: „ცხენისწყალი“ და სხვა). ფონეტიკური შესატყვისობა: ა და ჯ (ფსა, ფსუ) შესაწყნარებელია (აფხაზურისთვის ეს შესატყვისობა წესსაკი-კი შეადგენს). ამგვარი ჩერქეზული სახელების ამოცნობა ძნელი არ არის რუსულ რუკებზედაც. იხ., მაგ., ხუთვერსიან რუკაზე: მდ. Тупсе, იმავე სახელწოდების ქალაქთან; მათი სამხრეთით მდ. Шепси და მდ. Макопсе; ტუაფსეს ჩრდილოეთით— მდ. Куженс, ერთვის შავ ზღვას, მდ. Псекупс, დის ყუბანისაკენ, და მისი შენაკადები Хотынс და Чепси; იქვე, დასავლეთით, Безенс; მდ. Курджинс, ქალ. მაიკოპის რაიონში; Чекупс, ყუბანის ქვემო წელზე; მის აღმოსავლეთით მდინარეები Псебс, Хопс, Кунинс, Азинс, Афинс და სხვანი, რომელთა შორის კერძოდ უნდა აღვნიშნოთ მდ. Супс, ქ. კრასნოდარიდან პირდაპირ ხაზზე, სამხრეთით, სტანიცა კალუჟსკაიასთან.

შემდეგ ჩვენი ყურადღება მიიქცია, თავდაპირველად იმავე სუფსის ახლო მდებარე რაიონში, ანალოგიურმა მაწარმოებელმა -ყ ე-მ. ამგვარი სტრუქტურის სახელები თავმოყრილი აღმოჩნდა ხინო-დაგვას მთებთან: მდ. ა გ ი და ყ ე ვ ა, ერთვის ბეჟუჯს, მდ. ა ჭ ყ ე ვ ა, ქობულეთთან, მასზე სოფ. აჭყვისთავი, და სოფ. ა ჭ ყ ე ვ ა, ჩაქვთან, ფოთთან კიდევ—ცნობილი მდ. მ ა ლ თ ა ყ ე ვ ა; შემდეგ, იმავე აღნაგობის სახელები, მხოლოდ გართულებული ქართული ადგილის -თ- სუფიქსით: ჯ უ რ უ ყ ე ვ თ ი, ნატანებთან, ბ ო ბ ო ყ ე ვ ა თ ი, ციხისძირთან, მ უ რ ყ ე ვ ე თ ი, კოროხზე. -ყ ე-ს მნიშვნელობასა და ფუნქციას შესანიშნავად არკვევდა შემდეგი ფაქტი: მდ. აჭყვას სათავეებთან ჩვენ ვხედავთ სახელწოდება აჭ-ს (სოფელია, ზემო და ქვემო); აქედან არის ნაწარმოები აჭ-არა-ც, რომელმაც სახელწოდება მისცა ამ მთების სისტემას—აჭარის ქედი—და თვით ოლქსაც; ცხადია, აჭყვა ნიშნავს აჭის მდინარეს ისევე, როგორც სუფსა—სურის მდინარეს; მაგრამ ეს ცოტაა: ამგვარს, უკვე ქართულად ნაწარმოებს, მდინარის სახელს ჩვენ ვხედავთ იქვე—„აჭის წყალი“. აჭის-წყალს სათავე აქვს იმავე მთებში, სადაც აჭყვას, ისინი მხოლოდ სხვადასხვა მხარეს დიან. აშკარაა, რომ აჭყვა და აჭის-წყალი ერთიდაიგივე სახელია, სხვადასხვა ენაზე გამოთქმული.

შემდგომმა ძიებამ ამავე ჯგუფის სახელები აღმოაჩინა სხვა რაიონებშიაც: ბ ო ყ ე ვ ა (შეადრ. ბობოყვათი), რაჭაში, ა ყ ე ვ ა (ასე ეძახიან აფხაზები სოხუმს) და ა ბ ჟ ა ყ ე ვ ა—აფხაზეთში. დოც, იასე ცინცაძემ, ჩვენი მოხსენების გამო მსჯელობისას, მოგვაწოდა ცნობა ღელე ბერეყვას არსებობის შესახებ გურიაში.

საფიქრებელი იყო რომ ყვა-ც ჩერქეზულ წარმოშობისაა. მაგრამ რადვანაც ამ ელემენტის წარმომავლობის გარკვევა ლიტერატურული წყაროების საშუალებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე -ფსა-სი, ჩვენ ეს საკითხი იმ სა-

კითხვების წრეს მივათვალეთ, რომელთა შესწავლაც ადგილობრივ მიგვაჩნდა საჭიროდ. რამდენიმე მოგზაურობის დროს ჩერქეზებში 1929 წელს (გაზაფხულზე შავიზღვისპირელ შათსულებში და ადიღეს ავტონომიური ოლქის შათსულებსა, ბზადულებსა, ჭემგულებსა, აბაძახებსა, მამხელებსა, ბასლინაებსა და ყაბარდოელებში, ზაფხულში კიდეც—ყაბარდოს ავტონომიურ ოლქში) გაირკვა, რომ ყვა-ც უდავოდ ჩერქეზული სიტყვაა, „ღელე“-ს, „ხევი“-ს, „ხეობა“-ს მნიშვნელობით, დამახასიათებელი ყაბარდოული ენაკავისათვის, და ტოპონიმიკური მაწარმოებელი ელემენტი უპირატესად სწორედ ყაბარდოელების ტერიტორიაზე. რუსულ რუკაზე ეს სახელები ისეა გადმოცემული რომ მათი ამოცნობა ძნელია. აი, მაგალითები დიდი ყაბარდოს ტერიტორიიდან: ჭეყყა—ხევი და ადგილი=Чеюко, ხევი დუშმან ჯყყა=Деменюк, ხევი და მთა ჭანდჯყა=Фандуко, ხევი და აული შაჰალჯყა=Шалушка, ხევი და მთა ჰაიყა=Хаюко, ხევი არალაიყა=Аргаюко, მდ. გჰადჯყა=Гедуко, რომელიც ასე მოგვაგონებს ქართ. ავიდაყვას, მდ. აკაჰაჰაყა=Жепцеко, მდინარე და მთა სარანჯყა=p. Саралжуко, г. Сергиюко, მდ. მესანყა („დათვისხევი“) და მრავალი სხვა. ასეთივე სახელები გვხვდება აგრეთვე სხვა ჩერქეზი ტომების ტერიტორიაზედაც, მაგრამ მათზე აქ აღარ შევჩერდებით.

ამრიგად, უეჭველი ვახდა რომ დას. საქართველოს -ყვა-ზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელები აგრეთვე ჩერქეზული წარმოშობისაა. ამ შემთხვევებმა გვაფიქრებინა რომ შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩნდეს მესამე ჩერქეზული ტოპონიმიკური მაწარმოებელიც—„ფა“. ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობაა „ცხვირი“, მეორადი-კი—მრავალი, მათ შორის—„ბოლო“, „შესართავი (მდინარისა)“ [4]. მდინარის სახელი და ეს სიტყვა ერთად ხშირად აწარმოებენ იმ ადგილების სახელებს, რომელნიც მოცემული მდინარის შესართავთან მდებარეობენ: აული აჭუფსუფ, მდ. აჭუფს-ის შესართავთან, ლაბანუფ, მდ. ლაბას შესართავთან=Усть-Лабьинская (თარგმანი ჩერქეზულიდან!), სოფ. ულაფ, მდ. ულა-ის შესართავთან, და სხვა. შესაძლებელია, ამ სტრუქტურისა იყოს „ბზუფ“ (აფხაზეთში), თავდაპირველი „ა-ბას-აფ(ა)“-დან (შეადრ. მდ. ავასკ-ი არიანესთან). ამ შემთხვევაში უნდა მიგველო რომ „ბზუფ“ თავდაპირველად იყო მდინარის შესართავთან მდებარე პუნქტის სახელწოდება და შემდეგ გადავიდა თვით მდინარეზე. ჯერჯერობით ნაკლებ სარწმუნოა „ხოფა“-ს კავშირი ამავე კატეგორიასთან....

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ჩერქეზული ტოპონიმიკა უდავოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს (საცილობელი საკითხები ამ წერილში ჩვენ არც აღვიძრავს), ეს-კი აქ ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალევია.

აქ უნდა მივუთითოთ რომ საქართველოს გეოგრაფიული სახელები ფსა-ზე (სუფსა, ახუფს, ააფს, ხუფს, ლაშუფს) და ფა-ზე (ხოფა) ამჟამად აღნიშნულია როგორც ჩერქეზული გეოგრაფიული სახელები აგრეთვე აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ [5].

ამასთან დაკავშირებით, გასარკვევია სახელწოდება ფაზისი, რომელსაც, ვგონებთ (სათანადო პუბლიკაცია ამჟამად ხელთ არა გვაქვს), თავის დროზე სენ-მარტენი—ჩერქეზულ ფსუ-ს უკავშირებდა. საყურადღებოა რომ ფაზისს



ბერძნები და შემდეგ ბიზანტიელები ეძახდნენ არა მარტო რიონს, არამედ აგრეთვე ჭოროხსაც და არაქსსაც, რაც სათანადო ფუძეს უფრო ზოგად მნიშვნელობას აძლევს¹. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია შემდეგი: ბერძნულ ფორმათა ჩვენების მიხედვით, ფუძე ნამდვილად აღდგება ფასიდ-ის სახით; „ფასიდ“ იმავე ძირისაა, როგორც ქართული ფოთი || ფუთი, რადგანაც შესატყვისი ძველი სომხური ფორმა *ფოთ*, „ფოთ“ || „ფუთ“, გვაგულისხმებინებს ქართულშიაც წინამორბედ ფორმას „ფასთ“ (: ს → ღ || ჰ → 0; ბოლო თანხმოვნებს შორის შესაძლოა ხმოვანი იყოს ამოღებული) || „ფო/უსთ“ (მეტად საყურადღებოა სოფლის სახელი „ფუთი“ ზემო იმერეთში: ეს ფაქტი ერთხელ კიდევ ამჟღავნებს ფოთ/ფუთ სახელის კავშირს „ფასიდ“-თან და ემოწმება ძველების წარმოდგენას ფასიდის მიმდინარეობის შესახებ: რიონი ყვირილამდე, შემდეგ ყვირილა ძირულამდე და შემდეგ, უკვე ნაკლები სარწმუნოებით, ძირულა-ჩხერიმელა?). ჯერ კიდევ სარკვევია, ამ სახით აღდგენილ სახელს იგივე ჩერქეზული სიტყვა უძევს ფუძედ თუ არა, ე. ი. ერთხვევა თუ არა ფას და ფსა ფუძეები ერთმანეთს?

დადებითი პასუხის შემთხვევაში: ა) ქართული გაფორმება (-თ- სუფიქსი) განეკუთვნება ძალიან ძველ დროს, რომელიც წინ უსწრებს ბერძნულს ლიტერატურულ ტრადიციას კოლხეთის შესახებ; ბ) დამატებითი მასალა შეგვეძინება წინარექართული, ჩერქეზული მოსახლეობის გავრცელების შესახებ (ჭოროხისა და არაქსის ხეობათა სათანადო სექტორები).

ცალკე უნდა განხილულ იქნას „ბასიან“-ის (ძვ.-ქართ. პროვინცია) სახელწოდების კავშირი ამავე ფუძესთან, სახელწოდება „აქარა“-ს მნიშვნელობა და მისი, ისევე როგორც „ბასიან“-ის, გავრცელების არე.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალი
 შინს, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი
 აკად. ნ. მარის სახელობის
 თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 12.10.1940)

ИСТОРИЯ

С. Н. ДЖАНАШИА

ЧЕРКЕССКИЙ (АДЫГЕЙСКИЙ) ЭЛЕМЕНТ В ТОПОНИМИКЕ ГРУЗИИ

Резюме

На основе анализа современных и исторических данных по топонимике Грузии, автор считает бесспорным существование, среди географических названий Грузии, двух черкесских (адыгейских) морфологических типов:

¹ ამ საკითხების შესახებ უფრო დაწვრილებით—ავტორის დასაბუქდად გამზადებულ შრომაში „კოლხეთის ისტორიული გეოგრაფიიდან“.

1. Названия рек на *psa*, *psə*; *p*. Супса (в Гурии; от Сур-пса = Сурская, т. е. Суревская река, имеет истоки в Суревских горах); реки в Абхазии—Лашпсы, Хепсы, Аапсы, Гумсы (от Гумпсы) и другие; исторически данные названия—Акампси = (Чорохи) и Лагумпса (Ипп). Словообразовательный элемент—черк. *psə* = «вода», «река».

2. Названия речек (и местностей) на *qwā*: Агидаква, Ачква, Малтаква и др. (в Гурии); Боква (в Раче); Аква, Абжаква (в Абхазии); с наращением грузинского локативного суффикса *t*—Джуруквети, Бобоквати, Мурквети (Гурия—Адчара). Словообразовательный элемент—черк. (кабард.) *qwā* = «овраг», «балка», «ущелье», «речка».

Предположительно высказывается мнение о возможности объяснения структуры названия Бзып, Бзэр (река в Абхазии), при помощи черкесского *рā* = «нос», «конец», «устье реки». При этом допускается возможность последующего перенесения названия местности при устье реки на реку.

Установленные факты толкуются как наследие доисторического черкесского (адыгейского) населения в Грузии.

Оставлен открытым вопрос о связи основы названия Фасид (Фазис)—*fas* с первой категорией имен.

Грузинский Филиал АН СССР
 Институт языка, истории и материальной
 культуры им. акад. Марра
 Тбилиси

ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Ἄρριανὸς Περὶ πλοῦς... § 9: Geogr. gr. min., p. 374.
2. Աշխարհացոյց Մովսէսի Խորենացիոյ յաւերածովք նախնեաց, Վենետիկ, 1881, 35.
3. Известия древних писателей, греческих и латинских, о Скифии и Кавказе. Собрал и издал с русским переводом В. В. Латышев. I, 1893, стр. 275, 278.
4. Н. Яковлев. Материалы для кабардинского словаря, М. 1927, XXVI—XXVII.
5. Акад. И. А. Джавахишвили. Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшей эпохи. Вестник древней истории, 1939, № 4, стр. 42—45.

ირ. სურგულაძე

საგვარეულო წყობილების ორგანოების აღმნიშვნელი ტერმინები
ძველ ეგვიპტურ ენაში. I

იმ კონკრეტული სტრუქტურის აღდგენას, რომლითაც საგვარეულო საზოგადოება ხასიათდებოდა ძველ ეგვიპტეში, არა მხოლოდ ამ უკანასკნელის ისტორიისათვის აქვს მნიშვნელობა, არამედ საერთოდ პირველყოფილ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესწავლის თვალსაზრისითაც. ამ უკანასკნელთა შესახებ მეცნიერულად გამართული თეორია მარქსიზმის ფუძემდებელთაგან დიდი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე იყო გამომუშავებული; მაგრამ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება პირველყოფილი საზოგადოების მოძრაობისა და არსებითი სტრუქტურის შესახებ ძირითადში იმ სოციალურ სინამდვილეზე არის ორიენტირებული, რომელსაც განვითარების წინაკლასობრივ საფეხურზე ანტიკური ქვეყნები და ევროპის ხალხები გვიჩვენებენ, ხოლო მეორე მხრივ იმ მასალაზე, რომელიც XIX – XX სს. ეთნოგრაფიულ კვლევათა შედეგად არის ამოცნობილი. ძველ აღმოსავლეთში საზოგადოებრივი განვითარების სპეციფიკურობის შესახებ მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაშრომებში მრავალი მითითებაა მოცემული, რომელნიც ამ დარგში ყოველი მეცნიერული კვლევისათვის მეთოდოლოგიურსა და შინაარსობრივ დასაყრდენს წარმოადგენენ, მაგრამ, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის ხალხებში საგვარეულო წყობილების საკითხი მარქსიზმის ფუძემდებელთაგან სპეციალური დამუშავების საგნად დასახული არ ყოფილა. ამიტომ უდავოდ დიდი მეცნიერული ინტერესი და მნიშვნელობა თან ახლავს ამ უკანასკნელი პრობლემის სპეციალურ გამოკვლევას და ეს არა მხოლოდ მისი სიახლის გამო, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ საგვარეულო წყობილების ჯერ კიდევ შეუსწავლელი და ამავე დროს გარკვეული სპეციფიკურობის შემცველი სახეობის მეცნიერული გაშუქება, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დებულებათა საფუძველზე შესრულებული, ამ თეორიის შემდგომ კონკრეტიზაციას, მის განვითარებას ემსახურება.

ძველი აღმოსავლეთის ცნება ხალხთა დიდი კონგლომერატის აღმნიშვნელია. ისტორიული ბედის სპეციფიკურობა და ზოგადი ერთობა მათ ცალკე ოჯახად გამოჰყოფს, მაგრამ ეს სრულებით არ გამოირიცხავს ცალკე ხალხების ისტორიული არსებობისა და განვითარების ინდივიდუალობას. ამიტომ აქ საგვარეულო წყობილების შესწავლა, თუ მიზნად მეტი კონკრეტულობის მიღწევა ექნება დასახული, მხოლოდ ცალკე ხალხების მაგალითზე არის მეთოდოლოგიუ-

რად გამართლებული. ამ მოტივით ჩვენი ნარკვევიც უძველეს ეგვიპტეში წინაკლასობრივი საზოგადოებრივი წყობილების ზოგიერთი საკითხების შესწავლას შეეხება.

ის, თუ როგორ კონკრეტ ფორმებში ვითარდებოდა ნილოსის დაბლობში პირველყოფილი საზოგადოებრივი ურთიერთობა, კვლევის მხოლოდ კომპლექსური გზის გამოყენებით შეიძლება იქნეს აღდგენილი.

ამ მხრივ პირველ რიგში არქეოლოგიურ გათხრებზე უნდა მივუთითოთ, რომლებმაც, ვასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული, მზის სინათლეზე ამოიტანეს ეგვიპტის პრეისტორიის მატერიალური კულტურის ნაშთები. ეს უკანასკნელნი კი აქ უძველესი პერიოდის სოციალური სინამდვილის ზოგიერთ უაღრესად მნიშვნელოვან მხარეებზე მსჯელობისათვის შედარებით მტკიცე დასაყრდენს იძლევიან. სახელდობრ, არქეოლოგიურ კვლევათა შედეგად აშკარა გახდა, რომ ძველი ეგვიპტური საზოგადოების კულტურული განვი არება, რომელიც, სანამ მისი აღრინდელი საფეხურები უცნობი იყო, თითქოს მხოლოდ მიგრაციის თეორიის საფუძველზე პოულობდა ახსნას, სინამდვილეში ადგილობრივს, ავტოხტონურ პროცესს წარმოადგენდა, რომლის თანამიმდევარი საფეხურების საკმაოდ ზუსტი ფიქსაცია, დაწყებული პალეოლითიდან და გათავებულ ენეოლითით, უკვე შესაძლებელი არის. ამის ილუსტრაციისათვის საკმარისია აღინიშნოს, რომ ნილოსის დაბლობისათვის დღეს უკვე ცნობილია არა მხოლოდ კაპსის კულტურა, რომელიც მთელს დიდ ეპოქას სწვდება ზედა პალეოლითიდან ნეოლითამდე, არამედ ამ კულტურის ცალკეული სადგურები, როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილო ეგვიპტეში, როგორცაა ნაგ-ჰამადი, სებილი, ჰელუანი, აბუ-გალიბ, მერიმდე-ბენი-სალამე და სხვ. თუ ამას ნეოლითის პერიოდის კულტურის უკვე აღმოჩენილ სადგურებს მივუმატებთ (ფაიუმი, ტურა, ბადარი და სხვ.), ჩვენ მივიღებთ სურათს, რომელიც არამც თუ წინაკლასობრივ საზოგადოების არსებობას ადასტურებს უძველეს ეგვიპტეში, არამედ ამ საზოგადოების თანდათან ევოლუციის მნიშვნელოვანი საფეხურების აღსადგენად მტკიცე დასაყრდენს იძლევა. მაგრამ არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მატერიალური კულტურის ძეგლები შედარებით ზოგადი დასკვნებისათვის იძლევიან საფუძველს და ეს დასკვნები, სამწუხაროდ, ბევრ შემთხვევაში მოკლებული არიან იმ კონკრეტულობას, რომელიც განვლილ საუკუნეთა სოციალურ სინამდვილესთან მეტი შემეცნებითი დაახლოების აუცილებელ ლოგიკურ პირობას წარმოადგენს. მაგალითად, შრომის იარაღების, „სამხარეულოს ნარჩენების“, ქვაზე ან ძვალზე ასახულ სურათების, საკულტო ქანდაკებების, კერამიკული მხატვრობისა და სხვ. შესწავლის გზით ჩვენ თუმცა შეგვიძლია საკმაო ალბათობით დავასკვნათ, რომ ნილოსის სანაპიროებზე და ფაიუმის დაბლობში დამკვიდრებისას ადამიანთა საზოგადოება პირველყოფილი ჯოგის ხასიათს უკვე აღარ ატარებდა, არამედ საგვარეულო წყობილების საფეხურზე იყო ასული, რომ შემდგომი ევოლუციის გზით იგი ჯერ მატრიარქატის, შემდეგ კი პატრიარქალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტადიაში გადადის, მაგრამ ყოველივე ეს პირველყოფილი საზოგადოების ურთიერთობათა და განვითარების საფეხურების მხოლოდ გენერულ განსაზღვრას იძლევა და მათი კონკრეტ-



ტული სახეობის, ე. ი. იმ სპეციფიკურობის შესახებ, რომელიც საგვარეულო წყობილებისათვის იყო დამახასიათებელი წინაკლასობრივ ეგვიპტეში, თითქმის არათერს გვაწვდის.

ამიტომ აქ აუცილებელია კვლევის სხვა გზების გამოყენებაც. ეგვიპტეში საგვარეულო საზოგადოების კონკრეტული სტრუქტურის აღსადგენად, იმ ხარვეზების ნაწილობრივ შევსებისათვის, რომლებსაც არქეოლოგიურ კვლევათა შედეგები სტოვებენ, ერთერთ მნიშვნელოვან საშუალებას უძველესი პერიოდის იდეოლოგიური შემონაქმედის კრიტიკული ანალიზი წარმოადგენს⁽¹⁾. მართალია, ტექსტები, რომლებშიაც საერთოდ ეს უკანასკნელი და კერძოდ კი საგვარეულო წყობილების შემცნებითი აღდგენის თვალსაზრისით რელევანტური ცნებები ფიქსირებულია, საკმაოდ მოგვიანო პერიოდით თარიღდებიან; მაგრამ ერთხელვე გამოშუშავებული ცნებებისა და ტერმინების კონსერვატულობის შედეგად, რომელსაც ძველი ეგვიპტის საზოგადოებრივი ევოლუციის განსაკუთრებული პირობები კიდევ მეტად უწყობდა ხელს, აღნიშნულ ტექსტებში ისეთი ტერმინები და მათთან ასოცირებული წარმოდგენებია შემონახული, რომელნიც უდავოდ საგვარეულო წყობილების იდეოლოგიურ გარდმონაშთს წარმოადგენენ და მისი კონკრეტული სტრუქტურის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდიან. წინამდებარე ნარკვევში ჩვენ ყურადღებას ერთი ასეთი ტერმინის ანალიზზე შევაჩერებთ, ეს ტერმინია: *ḏwḏt*.

იგი სხვა ანალოგიურ ტერმინებთან ერთად (*srw*, *hstj*-, *r-p-t*) ცალკეულ ორგანოებს აღნიშნავს, რომელნიც ძველ ეგვიპტეში უკვე წარმოშობილი სახელმწიფოებრივი წყობილების შიგნით გვხვდებიან; მაგრამ ამ ორგანოების ბუნებისა და საქმიანობის გათვალისწინება ნათელს ჰყოფს, რომ ისინი მხოლოდ საგვარეულო წყობილების გარდმონაშთის სახით შეიძლება იქნან გაგებული, ვინაიდან ისინი იმდენად უცხო და შეუფერებელი იყვნენ ფარაონების სახელმწიფოს თეოკრატიული რეჟიმის ფარგლებში, რომ მათი პირველადი აღმოცენებისათვის აქ არავითარი პირობები მოცემული არ ყოფილა. ცნობები, რომელნიც ჩვენ მათ შესახებ მოგვეპოება, შედარებით მცირეა და, გარდა ამისა, უმთავრესად იმ ფუნქციებს ეხება, რომელნიც მათ დაკისრებული ჰქონდათ უკვე წარმოშობილი სახელმწიფოებრივი წყობილების შიგნით; ამის მიუხედავად, ამ ორგანოების ორგანიზაციის ზოგიერთი მომენტი, ისე როგორც პირამიდების ტექსტებში შემორჩენილი არქაული გამოთქმები, შესაძლებლობას იძლევიან იმ აღრიხდელი ხასიათისა და სტრუქტურის აღდგენისათვის, რომელიც მათ საგვარეულო წყობილების დროს ახასიათებდა. ტერმინი *ḏwḏt* ისტორიული პერიოდის ტექსტებში ყოველთვის მთლიანად ერთიდაიმავე მნიშვნელობით არ იხმარება, მაგალითად: თებეს ვაზირთა აკლდამების წარწერებში

⁽¹⁾ ჩვენ აქ არ შევხებით შედარებით-ისტორიულ მეთოდს, რომელსაც კვლევის არა პირველადი, არამედ მხოლოდ დამხმარე მეთოდის როლი შეუძლია ითამაშოს, ვინაიდან მისი გამოყენება უკვე გულისხმობს შესადარებელ მოვლენების წინასწარ ცოდნას; მას შეუძლია დაგვეხმაროს მხოლოდ გარკვეული ისტორიული პრაცედის ზოგიერთი ჩავარდნილი რგოლის აღსადგენად.

ვაზირის ერთერთ ფუნქციად აღნიშნულია ჯარისკაცთა d^3d^3-t -ის შეკრება [1] იმავე წარწერების მიხედვით d^3d^3-t *wrt* (la grande Assemblée — როგორც სთარგმნის A. Moret [2]) გადასახადების შესახებ მოხსენებას უდგენს ვაზირს; უკანასკნელთან სარჩელის აღძვრის შემთხვევაში სახნავ-სათესი ადგილის შესახებ, ვაზირი წინასწარ d^3d^3-t -ს მოუხმენს, საზღვრების შეცვლის შემთხვევაშიაც ვაზირი მათი შესწორების განკარგულებას სისრულეში მოასყვანად უგზავნის d^3d^3-t -ს, უძრავი ქონების გასყიდვის შემთხვევაში სიგელის შესრულება d^3d^3-t -ს, წინაშე ხდებოდა [3, 4].

სხვა ისტორიულ ცნობებში ეს ტერმინი ჩვენ გვხვდება ძალზე დამახასიათებელ კავშირში ტიტულატურის აღმნიშვნელ სიტყვებთან. სათანადო გამოთქმები ზოგ შემთხვევაში იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ აშკარად მიუთითებს მათ წინაღინასტიურ წარმოშობას. ასეთი ხასიათი აქვს ამ ტერმინს მაგ. პირამიდების ტექსტების § 182, სადაც ლეგენდარული პიროვნება *nd-tj* დასახელებულია როგორც *hrj d^3d^3-t spwt* (ნომების d^3d^3-t -ის მეთაური) [5]. ასეთივე სახელწოდება შემდეგში — უკვე ისტორიულ პერიოდში, როგორც ცნობილია, ნომარქების ტიტულატურაში შედიოდა; უკანასკნელნი, სხვათა შორის, იწოდებოდნენ *hrj d^3d^3-t hsp-t* (ნომის d^3d^3-t -ის მეთაური).

ზემოთმოყვანილი მნიშვნელობა, რომელიც ტერმინ d^3d^3-t -ს სხვადასხვა შემთხვევაში ისე, როგორც განსხვავებულ პერიოდებში ეძლეოდა, ერთი საერთო მომენტის შემცველი მაინც არის; სახელდობრ, ყველა ზემოთმოყვანილ ტექსტებში იგი აღამიანთა შეკრებას აღნიშნავს და ეს უდავოდ ამ ტერმინის აზრის პირველად ბირთვის წარმოადგენს, რომელიც შემდეგში ვარირებულია სხვადასხვა შემთხვევებისათვის.

ის გარემოება, რომ ეს ტერმინი უძველესი, წინასახელმწიფოებრივი პერიოდებიდან უნდა იყოს გადმოსული, მტკიცდება როგორც პირამიდების ტექსტების ზოგიერთი გამოთქმით, ისე იმ ფუნქციის ბუნებით, რომელსაც d^3d^3-t -ი ისტორიულ პერიოდში ასრულებდა.

პირამიდების ტექსტებიდან ჩვენთვის აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორი ადგილი: ერთი — ზემოთ უკვე ციტირებული § 182, სადაც, უძველესი ტრადიციის თანახმად ეგვიპტეში პოლიტიკური საზოგადოების ისტორიული გაფორმების პროცესში ოსირისის წინამორბედად ცნობილი *nd-tj* დახასიათებულია როგორც „ნომების d^3d^3-t -ის მეთაური“; მეორე — პირამიდების ტექსტების § 1319, რომელშიაც ფარაონზე ნათქვამია: „ეს დიდი ძლიერი კვერთხი ჰელიოპოლისის დიდი d^3d^3-t -ის შიგნით“. მოყვანილი გამოთქმების აზრის ზუსტი დადგენისათვის მისაღება მხედველობაში შემდეგი მომენტები: როგორც უკვე მითითებული იყო, ტერმინი d^3d^3-t -ის ძირითადი მნიშვნელობა საერთოდ შეკრებას მიუთითებს და აშკარაა, რომ პირამიდების აქ ციტირებულ გამოთქმებშიაც მას იგივე მნიშვნელობა უნდა მიეწეროს; მაგრამ განსხვავებით ისტორიული პერიოდისათვის დამახასიათებელი ტექსტებისაგან, რომლებშიაც ამ ტერმინით ნაფულისხმევი შეკრების სხვადასხვა ფორმები ყოველთვის სპეციალური კომპეტენციითა და შემადგენლობით (მაგ. ჯარისკაცთა d^3d^3-t -ი) არიან



ნაგულისხმევი⁽¹⁾, პირამიდების მოყვანილ თქმულებებში (Sprüche—Sethe's ტერმინოლოგიით) $\underline{d^3d^3}$ - \underline{t} საერთოდ კრების მნიშვნელობით არის გამოყენებული; ამიტომ მოყვანილი ტექსტები იმ დროის გამოძახილს უნდა წარმოადგენდეს, როდესაც $\underline{d^3d^3}$ - \underline{t} სახალხო შეკრების ერთადერთი ფორმა იყო. მეორე მხრით, პირ. ტექსტ. § 1319 შინაარსიდან შეიძლება იმ აზრის ამოკითხვა, რომ თქმულებით ნაგულისხმევ პერიოდში საზოგადოებრივი საქმეების მთლიანი ხელმძღვანელობა $\underline{d^3d^3}$ - \underline{t} -ის და მისი მეთაურის (რომელიც პირ. ტექსტ. § 1319 დახასიათებულია, როგორც „ლიდი ძლიერი კვერთხი“; ამაკარაა, რომ აქ ფიგურალურ გამოთქმასთან გვაქვს საქმე, რომლის პირდაპირი შინაარსი მეთაურის—*hrj* (ენება იყო) გამგებლობაში ყოფილა მოქცეული⁽²⁾.

დასკვნა, რომელიც მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარეობს $\underline{d^3d^3}$ - \underline{t} -ის, როგორც საზოგადოებრივი დაწესებულების წინასახელმწიფოებრივი, პირველადი ხასიათის შესახებ, შეიძლება სხვა მოსაზრებითაც გავამაგროთ. ამ მხრივ პირველ რიგში $\underline{d^3d^3}$ - \underline{t} -ის თავისებური მდგომარეობაა მისაღები მხედველობაში შედარებით იმ ორგანოებთან, რომელნიც ფარაონების სამეფოს წარმოშობის შემდგომ იყვნენ შექმნილი. თავისებურება აქ იმაშია, რომ $\underline{d^3d^3}$ - \underline{t} -ი, როგორც ეს სათანადო ტექსტების უფრო დაკვირვებული შესწავლიდან ირკვევა, ჩაქსოვილი ი კი არ ყოფილა სახელმწიფოს აპარატში ერთერთი შინაგანი რგოლის სახით, არამედ მის გარეშე იდგა და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში ძირითადად დამხმარე როლს თამაშობდა. იმ შემთხვევაში კი, როდესაც იგი გამოდიოდა, როგორც თავისთავადი ორგანო, გარკვეული საზოგადოებრივი ფუნქციის შემსრულებელი, თვით ამ უკანასკნელის ბუნება ნათლად მოწმობს, რომ იგი საგვარეულო წყობილებიდან გადმოსული გარდმონაშთი იყო. მაგალითისათვის შეგვიძლია მივუთითოთ $\underline{d^3d^3}$ - \underline{t} -ის კომპეტენციაზე უძრავი ქონების გადასვლის აქტების შესრულების დარგში; ცნობილია, რომ უძრავი ქონების გადასაცვლების პროცესი ჯერ კიდევ საგვარეულო წყობილების შიგნით, მისი რღვევის პერიოდში იწყება და გასაგებია, რომ სათანადო აქტები აქ თემის წევრთა საერთო კრებაზე განიხილებოდა. კლასობრივი საზოგადოებისა და პოლიტიკური ზედნაშენის საბოლოოდ ჩამოყალიბების შემდეგ ეს უკანასკნელი ორგანო ერთი ხელის დარტყმით არსად არ ისპობა, არამედ საგვარეულო საზოგადოების გარდმონაშთის სახით გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოდიფიცირებულ ფორმაში არსებობას განაგრძობს და ბუნებრივია, რომ, სხვა საკითხების გვერდით, უძრავ ქონებათა გადაცემის აქტების შესრულება ამ ორ-

⁽¹⁾ ჩვენ აქ არ ვიღებთ მხედველობაში ნომარქების ტიტულს *hrj d^3d^3-t hsp. t*, რომელსაც ისტორიულ პერიოდში არავითარი სოციალური სინამდვილე არ შეესატყვისებოდა.

⁽²⁾ პირ. ტექსტში თქმულება მოყვანილია როგორც ფარაონის დახასიათება; მაგრამ ცნობილია, რომ ფარაონების სახელმწიფოში ამ გამოთქმას არავითარი ისტორიული რეალობა არ შეეფერებოდა; აქედან აუცილებელია დასკვნა, რომ ეს ტექსტი არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც ფარაონების პერიოდის სოციალური სინამდვილის ასახვა და მას მხოლოდ უფრო ადრინდელ დროთა სოციალურ წარმოდგენათა გარდმონაშთის ხასიათი შეიძლება მიეცეს. სხვა საკითხია, რომ მოყვანილი გამოთქმა ფარაონების ხელისუფლების ისტორიული გენეზისის საკითხში მეტად მნიშვნელოვან დასკვნებისათვის იძლევა საფუძველს.

განოს კომპეტენციაში რჩება კვლავ. ასეთი სახის ისტორიული თანმიმდევრობა^ა საკმაოდ დადასტურებული როგორც ანტიკურ ქვეყნებში, ისე ფეოდალურ სახელმწიფოთა ახლად წარმოშობის პერიოდისათვის, ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ ეგვიპტის სოციალური განვითარების პროცესის განხილვისას და ეს მით უმეტეს, რომ d^3d^3-t -ის შემადგენლობა და კომპეტენცია, ისტორიული პერიოდისათვის საკმაოდ დადასტურებული, მთლიანსა და არსებით ანალოგიას გვიჩვენებს როგორც ანტიკური ქვეყნების, ისე ადრინდელი საშუალო საუკუნეების სათანადო ორგანოების სტრუქტურასა და კომპეტენციასთან; აქედან კი გარკვეული ალბათობით შეიძლება დავასკვნათ, რომ წინასახელმწიფოებრივ პერიოდშიაც აღნიშნული ორგანოები ანალოგიური სტრუქტურისა უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ნაკლებ დამაჯერებელია, რომ სავარაუდო წყობილების პერიოდში მთლიანად განსხვავებული ორგანოების ტრანსფორმირების შედეგად შემადგენლობისა და კომპეტენციის მხრივ არსებითი ანალოგიის შემცველი ორგანოების წარმოშობა ყოფილიყოს შესაძლებელი. ცნობილია, რომ როგორც ძველ საბერძნეთში ან რომში, ისე ეგროპაში ადრინდელი ფეოდალური პერიოდის აქ ნაგულისხმევი ორგანოები (ანტიკურ ქვეყნებში—სახალხო კრების გარკვეული ფორმები, ეგროპის ფეოდალურ პერიოდში—მარკა) წინასახელმწიფოებრივი პერიოდისათვის დამახასიათებელი გვაროვნული კრების ტრანსფორმირებულ ფორმაში გამოვლინებას წარმოადგენდა, ამიტომ ძველ ეგვიპტეშიაც ისტორიული პერიოდის d^3d^3-t -ი, მის პირვანდელ სახეობაში ალბათ სავარაუდო საზოგადოების გვაროვნულ კრებას წარმოადგენდა.

მაგრამ ზემოთმოყვანილი მოსაზრებიდან არ გამომდინარეობს, რომ ისტორიულ პერიოდში ცნობილი d^3d^3-t უშუალოდ უკავშირდებოდეს სავარაუდო წყობილების გვაროვნულ კრებას. არსებობს მოსაზრებები, რომელნიც გვაძლევენ ვიფიქროთ, რომ ამ ორგანოს დიდი გზა აქვს გავლილი, ვიდრე მისი პირვანდელი სახეობიდან იმ მდგომარეობამდე მივიდოდა, რომელშიაც იგი ფარაონების სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმის ფარგლებში გვხვდება, და d^3d^3-t -ის ის ფორმაც კი, რომელიც პირამიდებ ს ზემოთმოყვანილ § 182-ია მოხსენებული, ამ ორგანოს უკვე ტრანსფორმირებულ სახეობაში გვიჩვენებს. მართლაც, საკმარისია გავიხსენოთ, რომ აღნიშნულ ტექსტში d^3d^3-t -ი ნაგულისხმევა როგორც ნომის (*sp.t*) სახალხო შეკრება, ხოლო შეიძლება იმის დამტკიცება, რომ ნომი, მის პირვანდელ სახეობაშიაც კი, არ წარმოადგენდა გვაროვნული საზოგადოების ორგანიზაციულ ფორმას, როგორც ნომის აღმნიშვნელი ტერმინის აზრი (*sp.t* ძირისაგან *sp*=დაყოფა), ისე სათანადო იეროგლიფი (ოთხკუთხედი ტერიტორია, ერთმანეთის გადაშვეთი ხაზებით დასერილი) უდავოდ მიუთითებენ ნომების პირველი წარმოშობის პერიოდისათვის ეგვიპტეში საზოგადოებრივი განვითარების იმ სტადიას, როდესაც საირიგაციო მიწათმოქმედება უკვე საკმაოდ ფართო მასშტაბით იყო გაშლილი, ეს კი შესაძლებელი იყო არა გვაროვნულ-ტომური წყობილების პირობებში, არამედ მხოლოდ მის შემდეგ, რაც ცალკე ტომების კონსოლიდაციის შედეგად უკვე ჩნდებიან საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ელემენტები; ძველი ეგვიპტის სინამდვილეში ამ უკანასკნელთა პირველი წარმოშობა ნომების ფორ-

მაში ხდება, რომელიც, ამგვარად, აღრინდელ სახელმწიფოებრივ გაერთიანებებს წარმოადგენს.

მაგრამ ის გარემოება, რომ პირამ. ტექსტ. § 182-ში $\overline{d}^3\overline{d}^3$ - \overline{t} ი მოხსენებულია როგორც ნომების პოლიტიკური სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ორგანო, არ იძლევა საფუძველს ამ ორგანოს წარმოშობის დათარიღებისათვის ნომების არსებობის პერიოდით. ასეთი დასკვნის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს არამარტო ის, რომ, როგორც ცნობილია, საირიგაციო მიწათმოქმედების ზრდა საერთოდ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში და კერძოდ კი ეგვიპტეში ჰქმნიდა სათანადო პირობებს მხოლოდ დესპოტურ-მონარქიული რეჟიმის განვითარებისათვის, ამ უკანასკნელში კი ჩვენ ვერ ვიპოვით ელემენტებს, რომელიც ხელის შემწყობნი უნდა ყოფილიყვნენ სახალხო კრებათა პრაქტიკის პირველადი წარმოშობისათვის, არამედ სხვა, უფროსპეციალური ხასიათის არგუმენტებიც. თავი რომ დავანებოთ პირამ. ტექსტ. § 1319, რომელიც მისი შინაარსით არ არის აუცილებლად ორიენტირებული ნომების ისტორიული წარმოშობის პერიოდზე, ჩვენ შეგვიძლია შევედგეთ ტრადიციის შემცველი რელიგიური ტექსტები დავასახელოთ, სადაც $\overline{d}^3\overline{d}^3$ - \overline{t} აღნიშნულია როგორც შეკრების უნივერსალური ფორმა, გავრცელებული როგორც ცაში, ღმერთებს შორის, ისე ძირს ქვეყანაზე და ყოველგვარი კავშირის გარეშე ნომების არსებობის პერიოდთან. მაგ., „მიცვალებულთა წიგნის“ XVIII თავი შემდეგი სიტყვებით იწყება: „მთველ თქვენთან, თქვენ ღმერთთა დიდო $\overline{d}^3\overline{d}^3$ - \overline{t} ცაში, მიწაზე და მიწის ქვეშ!“, ხოლო იმავე თავის შემდგომ გაგრძელებაში ეს ორგანო სპეციფიზირებულია როგორც ღმერთთა თავყრილობა დიდი ღმერთების—რას, ატუმის, ოსირისის და სხვ. ირგლივ [6].

ჩვენთვის აქ განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ ტერმინი $\overline{d}^3\overline{d}^3$ - \overline{t} ღმერთთა შეკრების აღსანიშნავად არის გამოყენებული, ვინაიდან სწორედ ეს გარემოება ამ ტერმინის არქაულობას ნათლად ადასტურებს. ცნობილია, რომ უძველესი ეგვიპტური ტრადიციის მიხედვით, რომელსაც, სხვათაშორის, მანეთონიც მიჰყვება, ადამიანთა პოლიტიკური საზოგადოებასა და ადამიან-მეფეებს წინ ღმერთების მმართველობა უსწრებდა. ექვს გარეშეა, რომ აღნიშნული ტრადიცია ნილოსის დაბლობში პოლიტიკურ საზოგადოების გაფორმებამდე სოციალურ ურთიერთობათა ისეთი ტიპის არსებობას გულისხმობს, რომელიც, რელიგიური წარმოდგენების სოციალური შინაარსის ინტერპრეტაციის შედეგად, მხოლოდ საგვარეულო წყობილებას შეიძლება ნიშნავდეს; ხოლო ამ უკანასკნელის შიგნით $\overline{d}^3\overline{d}^3$ - \overline{t} მოხსენიება როგორც ძირითადი ორგანო, რომლის განხილვის საგანს უმნიშვნელოვანესი საკითხები შეადგენენ (როგორც ეს „მიცვალებულთა წიგნის“ XVII და XVIII თავების შინაარსიდან ჩანს), საფუძველს იძლევა დასკვნისათვის, რომ პრეისტორიულ ეგვიპტეში ამ ორგანოს ქვეშ თანამეგარეთა საერთო კრება იგულისხმებოდა.

დაბოლოს, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ტერმინ $\overline{d}^3\overline{d}^3$ - \overline{t} ის ეიროგლიფურ დამწერლობის ერთ დამახასიათებელ მომენტს. ამ დამწერლობაში იმ ნიშნების გვერდით, რომლებსაც მხოლოდ ფონეტიკური მნიშვნელობა აქვს, ჩვენ ვხვდებით იდეოგრაფული მნიშვნელობის ნიშანს, რომელიც წრის სახით

არის წარმოდგენილი. ადგილი გასაგებია, რომ ასეთი იდეოგრამა საერთო კრების ცნებასთან არის შეხამებული როგორც იმ წრის—მოედნის აღმნიშვნელი, რომელიც შეკრების ადგილს წარმოადგენდა. ანალოგიური მოვლენა, როდესაც კრების აღსანიშნავად ტერიტორია არის გამოყენებული, რომელზედაც კრება იმართება, არ არის უცნობი ისტორიაში—მაგ. არეოპაგი ათენაში, ან campus martius ფრანკების მონარქიაში.

სტალინის სახელობის
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 სახელმწიფოს და სამართლის ისტორიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 9.10.1940)

ИСТОРИЯ

И. А. СУРГУЛАДЗЕ

ТЕРМИНЫ, ОБОЗНАЧАЮЩИЕ ОРГАНЫ РОДОВОГО СТРОЯ В ДРЕВНЕ-ЕГИПЕТСКОМ ЯЗЫКЕ. I

Резюме

При изучении особенностей родового строя в древне-египетском обществе, рядом с данными археологии, весьма важное значение следует придать анализу древнейших терминов, первоначально обозначавших органы родового строя и сохранившихся как в древне-египетских религиозных текстах, так и в других памятниках более позднего происхождения. Среди таких терминов в первую очередь следует обратиться к термину $\underline{d}^3\underline{d}^3-t$; анализ соответствующих текстов, в которых он встречается, дает основание к заключению, что первоначально данный термин обозначал основной орган родового общества—общее собрание сородичей.

Тбилисский Государственный Университет
 имени Сталина

Кафедра истории государства и права

ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. Sethe. Urkunden des alten Reichs, IV, S. 1103.
2. A. Moret. Nil et la civilisation égyptienne P., 1925, p. 324
3. A. Moret. La création d'une propriété privée sous le moyen empire égyptien. Ac. d. inscr. et belles lettres. Comptes Rendus d. seances de l'année 1915, p. 372.
4. Sethe. Ägyptische Inschrift auf den Kauf eines Hauses aus dem alten Reich. Ber. Kön. Sächs. Ges. d. Wiss., Lpz, 1911, VI, S. 135—150.
5. Sethe. Pyramidentexte, § 182.
6. The Book of the dead, I, trad. of R. le Page Renouf. Proceedings of the society of biblical archaeology, 1893, v. XV, p. 4.



ლიტერატურის ისტორია

ლ. მელიქსეთ-ბაგი

ქუთათელ ტიმოთე გაბაშვილის ბიოგრაფიისათვის

ტიმოთე გაბაშვილი თვალსაჩინო ფიგურაა XVIII საუკუნის ქართული მწერლობის ასპარეზზე. ანტონ პირველის შემდეგ იგია ქართული თეოლოგიური აზროვნების ერთერთი მესვეურთაგანი და, ამავე დროს, ანტონისავე მარჯვენა ხელი. იგი ავტორია სულ ცოტა ორი თხზულებისა: ერთია—„მოხილვა წმინდათა და სხუთა აღმოსავლეთისა ადგილთა“, რომელიც გამოიცა პლ. იოსელიანის მიერ თბილისში 1852 წელს, ხოლო მეორე—„მარწუხი“, რომელიც დღემდე გამოუქვეყნებელია.

ტიმოთეს ბიოგრაფიიდან, რომელიც მხოლოდ საერთო შტრიხებშია აღდგენილი პლ. იოსელიანისა [1] და პროფ. კორნ. კეკელიძის მიერ [2], ვტყობილობთ, რომ იგი ყოფილა ბესარიონ კათალიკოზის მოწაფე, ერთხანს—1738 წლამდე—ქუთათელ ეპისკოპოზად და მიტროპოლიტად, შემდეგში კი ქართლის მთავარეპისკოპოზად; ორჯელ იმოგზაურა რუსეთში: პირველად—1738 წელს—იმერეთის მეფის ალექსანდრე გიორგის ძის დავალებით, როგორც დესპანმა იმპერატრიცა ანასთან, და დაყო იქ რამდენიმე წელს (მათგან 2 წელს სინოდში მსახურობდა), მეორედ კი—1756 წ.—ანტონ პირველის გადაყენების შემდეგ. მანამდე კი მოიარა აღმოსავლეთი. გარდაიცვალა და დასაფლავებულია ასტრახანში 1764 წელს.

ტიმოთეს თეოლოგიური ნაშრომი, რომელიც, სხვათა შორის, სომეხთა მონოფიზიტების წინააღმდეგაა მიმართული, დღესდღეობით 2 ხელნაწერადაა ცნობილი: ორივე ყოფ. საეკლესიო მუზეუმის ფონდისაა №№ 118 და 120.

ერთერთი ხელნაწერი (№ 120) იწყება შემდეგი შესავლით:

„წიგნი მარწუხად წოდებული.

„ხოლო მე მდაბალ ქუთათელ ეპისკოპოსი ტიმოთე ვიძულე მართლმადიდებელთაგან, რომელთა იქვი ედვათ ჩემდა, შეკრებასა ამოსა, არა მეცნიერთა უსწავლელობისა ჩემისათა, და ვარ ურჩ ქმნილი ბრძანებისა. ვიწყე შეკრებად საღმრთო წერილთაგან“ (გვ. 3).

ამ „საღმრთო წერილთა“ შორის ავტორს გამოყენებული აქვს ძველ სომხურ მწერლობაში კარგად ცნობილი თხზულება „პისუს ვორდი“ (*Քիսուս Որդի*), რომელიც XII საუკუნის ავტორს ნერსეს კლავუს ეკუთვნის, როგორც „უნიტორული“ მიმართულების სომეხ მოღვაწეს კილიკიის სომეხეთში. ამ ნერსესს ანტონ პირველი სიმბატიით იხსენიებს თავის „ზამეტყველება“-ში [3]. აღნიშნული თხზულება მრავალჯერ არის გამოცემული XVII—XVIII საუკუნეთა მანძილზე [4].

ტიმოთე გაბაშვილს თავისი „მარწუხი“-სათვის, უთუოდ, ამ თხზულების ერთერთი წინა გამოცემით (1643—1724 წწ.) უნდა ესარგებლა.

ნერსეს კლავლის თხზულებას ტიმოთე იხსენიებს ორჯერ:

1. „დიდისა ნერსესისა სომეხთა კათალიკოზისა წიგნსა შინა ისუს ვორდისასა ესრეთ“ (იხ. ხელნაწერი № 118, გვ. 112—114; № 120, გვ. 130—133).
2. „დიდისა ნერსესისა სომეხთა კათალიკოზისა წიგნსა შინა ისუს ვორდსა“ (ხელნ. № 118, გვ. 152—153; № 120, გვ. 184).

ტიმოთე გაბაშვილი იყო თანამედროვე „სომეხთა პრობლემის“ ისტორიიდან კარგად ცნობილის მინას ვარდაპეტ ტიგრანიანისა, რომელიც 1717 წ-დან სიკვდილამდე მოსკოვსა და ასტრახანში ცხოვრობდა, უკანასკნელ ხანებში როგორც რუსეთში მკვიდრ სომეხთა ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი. იგი გარდაიცვალა 1740 წ. 12 მაისს 82 წლის ასაკში და დასაფლავებულ იქნა ბერძენთა ნიკოლოზის მონასტერში, რომელიც მდებარეობდა წითელი მოედნის ახლოს ნიკოლსკაია ქუჩაზე.

როგორც რუსეთის სინოდის სათანადო საარქივო საქმეებიდან ირკვევა (ეს საქმეები, რომლებიც ე. წ. „სომეხთა პრობლემის“ ეხება, განზრახული გვაქვს ცალკე გამოვცეთ), 1740 წ. 28 აპრილს ტიმოთე გაბაშვილს, იმხანად მოსკოვში მცხოვრებს, მონაწილეობა მიუღია სიკვდილის პირად მყოფი 82 წლოვან სომეხთა არქიეპისკოპოზ მინასის „მართლმადიდებლობაში“ მოქცევის საეკლესიო ცერემონიაში, რომელსაც ადგილი ჰქონია კრემლში—მიძინების დიდ ტაძარში [5, 6, 7].

აი ამ დოკუმენტის შესაფერი ადგილი დედანში (იხ. სინოდის საქმე 1743 წ. № 161—358, გვ. 149—150):

„28 Апреля в Большом Успенском соборе, по проклятии публично армянских ересей, кои были написаны армянским диалектом и ему, архиепископу Мине, чтены во всеуслышание *обретающимся в Москве митрополитом Кутатинским Тимофеем*, чему и оный архиепископ Мина последовал чтением и ко оному своеручно подписался, Тверским епископом Митрофаном в православие принят. Пребывание архиепископу Мине назначено иметь в Николаевском греческом монастыре и для того велено отвести удобные кельи“.

ჩვენ მიერ მითითებული ორივე ფაქტი, რომ 1) ტიმოთე გაბაშვილს თავისი „მარწუხი“-სათვის გამოუყენებია 1643—1724 წწ. გამოქვეყნებული რომელიმე გამოცემა ნერსეს კლავლის თხზულებისა „ჰისუს ვორდი“, რომელიც სომხურის გარდა არცერთ სხვა ენაზე არ მოიპოვებოდა (საერთოდ არ იყო თარგმნილი), და 2) ტიმოთე გაბაშვილს სომეხთა არქიეპისკოპოზ მინასის „მართლმადიდებლად“ მოქცევის დროს, 1740 წ. 28 აპრილს, მოსკოვის კრემლის მიძინების დიდ ტაძარში მინასთან ერთად კვალდაკვალ წაუკითხავს საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის შედგენილი სომხური ტექსტი „სომეხთა მწვალებლობის“ განქიქებისა, ცხად ჰყოფს, რომ მას, ტიმოთეს, რამდენადმე უნდა სცოდნოდა სომხური.

სტალინის სახელობის
 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
 არმენოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 20.5.1940)

Л. МЕЛИКСЕТ-БЕКОВ

К БИОГРАФИИ ТИМОФЕЯ ГАБАШВИЛИ КУТАТЕЛИ

Резюме

Тимофей Габашвили — заметная фигура на фоне грузинской литературы XVIII века. После Антония I° католикоса он является одним из столпов грузинской богословской мысли и известен как автор по крайней мере двух произведений: 1) «Путешествие по святым местам Востока» и 2) «Клещи».

Из биографии Тимофея, которая только лишь в общих штрихах восстановлена П. Иоселиани [1] и проф. К. С. Кекелидзе [2], узнаем, что он был учеником католикоса Виссариона, до 1738 г. — кутаисским епископом и митрополитом, затем карлийским архиепископом. Он дважды ездил в Россию: раз — в 1738 г. — по поручению имерийского царя Александра Георгиевича, в качестве посланника к императрице Анне Ивановне, и пробыл там несколько лет (в том числе 2 года на службе в «святейшем синоде»); второй же раз — в 1756 г. — после отречения Антония I. До этого же он объездил страны Востока и «святые места». Скончался и погребен в Астрахани в 1764 г.

Основной труд Тимофея «Клещи», который направлен, между прочим, против армянского монофизитизма, сохранился по крайней мере в двух рукописях (из коллекции б. Церковного музея №№ 118 и 120). В нем автор дважды упоминает труд армянского писателя XII в. Нерсеса Клайского *Յրակն Որդի*, который им и используется для «обличения» армян. Кстати, Нерсеса с большой симпатией упоминает, очевидно, как автора «уни-торского» направления в киликийской Армении (1080—1375), Антоний I [3]. Названное произведение Нерсеса на протяжении XVII—XVIII вв. (начиная с 1643 г.) было издано 10 раз, причем Тимофей имел возможность использовать любое из изданий такого за вторую половину XVII и начало XVIII века [4].

Тимофей был современником хорошо известного из истории «армянского вопроса» Минаса вардапета Тигранянца, сподвижника Израеля Ори, — который проживал в России, в частности в Москве и Астрахани, начиная с 1717 г. и который скончался в Москве в 82-летнем возрасте 12 мая 1740 г.; причем в последние годы своей жизни был архиепископом обитавших в России армян.

Как устанавливается по соответствующим архивным материалам из фонда б. «святейшего синода» (см. дело от 1743 г. № 161—358, стр. 149—150), Тимофей активно участвовал в церемонии «принятия в

православие» престарелого армянского архиепископа Минаса вардапета, каковая церемония имела место в Большом Успенском соборе в Кремле 28 апреля 1740 г., т. е. за 2 недели до кончины последнего [5, 6, 7].

Тбилисский Государственный Университет
 имени Сталина
 Кафедра арменологии

ციტირებული ლიტერატურა—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. მოხილვა წმინდათა და სხატათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა. თფილისს 1852, გვ. 5—6.
2. პროფ. კორნ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. I ტომი. ძველი მწერლობა. ტფილისი 1923, გვ. 374—375.
3. მზამეტყველება ქმნილი ანტონი I საქართველოს კათოლიკოსისაგან, გამოცემული მღ. პ. კარბელაძის რედაქციით, ტფილისი 1892, გვ. 117.
4. ლ. მელიქსეთ-ბეგო. გიორგი გარელი—უცნობი ქართველი და სომეხი მწერალი XVIII საუკუნის პირველი ნახევრისა,—«საქართველოს მუზეუმის მოამბე», ტ. X, თბ. 1940, გვ. 103.
5. Հայ-ուսմ օրինաոսյիսյի ծագման խնդիրը, էջմիածին 1921, էջ XI—XII.
6. Е[пископ] К[ирион]. Принятие армянским архиепископом Миною православия в 1740 году,—газ. «Отголоски» (Тифлис), 1906 г. № 12.
7. Е[пископ] К[ирион]. Материалы для истории армяно-григорианских церквей в России,—газ. «Закавказская Речь» 1914 г. № 17.

პ/მგ. რედაქტორი ნ. მუსხელიშვილი.

ტექნორედაქტორი ს. კაბახკოვი

გადაეცა წარმ. 4.10.40 წ.
 უე 2731

ხელმოწ. დასაბ. 30.10.40 წ.
 (заказ) შეკვეთის № 866

თაბახთა რაოდენობა 4^{1/2}/₂
 ტირაჟი (тираж) 1000

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სტამბა, აკაკი წერეთლის ქ. № 7
 Типография Грузинского Филиала Академии Наук СССР, улица Церетели № 7



ПОЛОЖЕНИЕ О «СООБЩЕНИЯХ ГРУЗИНСКОГО ФИЛИАЛА АКАДЕМИИ НАУК СССР»

1. В «Сообщениях» помещаются краткие статьи научных работников Филиала и других ученых, содержащие наиболее существенные результаты их исследований.

2. «Сообщениями» руководит Редакционная коллегия, назначаемая Президиумом Грузинского Филиала АН СССР.

3. Повседневная редакционная работа осуществляется Бюро редколлегии, состоящим из ответственного редактора, его заместителя и ответственного секретаря, также назначаемых Президиумом Грузинского Филиала АН СССР.

4. «Сообщения» выходят ежемесячно (в конце каждого месяца), за исключением июля и августа, выпусками от 2 до 6 печ. листов каждый. Совокупность выпусков за год (всего 10 выпусков) составляет один том.

5. Статьи печатаются на одном из следующих языков: грузинском, русском, немецком, французском, английском. Статьи на грузинском языке обязательно снабжаются резюме на одном из остальных указанных языков. Статьи на французском, немецком и английском языках обязательно снабжаются резюме на грузинском или русском языках. Резюме статей, печатающихся на русском языке, не обязательны, но по желанию автора эти статьи могут быть снабжены резюме на одном из остальных указанных языков.

6. Размер статьи, включая резюме, не должен превышать 20 тыс. печ. знаков (половины авторского листа). Соотношение размеров основного текста и резюме определяется самим автором. В частности, резюме может быть заменено полным переводом, при условии, чтобы общий размер статьи и перевода не превышал указанной выше нормы.

7. Статьи, предназначенные к напечатанию в «Сообщениях», направляются в Редакцию, либо непосредственно, либо через одного из членов Редколлегии. Статья принимается к напечатанию только постановлением Бюро редколлегии, по письменному представлению одного из членов Редколлегии, который отвечает за содержание статьи наравне с автором.

8. Статьи должны представляться автором, в совершенно готовом для печати виде, вместе с резюме. Формулы должны быть четко вписаны от руки. Никакие исправления и добавления после принятия статьи к печати не допускаются.

9. Данные о цитируемой литературе должны быть возможно полными: необходимо указывать название журнала, номер серии, тома, выпуска, год издания, полное заглавие статьи; если цитируется книга, то необходимо указать полное заглавие, год и место издания, а также издательство.

10. Цитируемая литература должна приводиться в конце статьи в виде списка. При ссылке на литературу в тексте статьи или в подстрочных примечаниях, следует указывать номер по списку, заключая его в квадратные скобки.

11. В конце статьи и резюме авторы должны указывать, на соответствующих языках, местонахождение и название учреждения, в котором проведена работа.

Дата поступления статьи отмечается ответственным секретарем Редколлегии или членом Редколлегии, в зависимости от того, к кому статья поступила.

12. Автору предоставляется одна корректура в сверстанном виде на строго ограниченный срок (обычно не более суток). В случае невозвращения корректуры к указанному сроку, Редакция вправе перенести статью в следующий выпуск.

13. Авторы получают бесплатно 50 оттисков своей статьи и выпуск «Сообщений», содержащий эту статью.

102/18



ფასი 3 მან.
ЦЕНА 3 РУБ.

სარედაქციო კოლეგია

წ.-კორ. გ. ახვლედიანი, აკად. ი. ბერიტაშვილი, პროფ. ლ. გოციელი (პასუხისმგ. მდივანი), პროფ. ფ. ხაიციანი, პროფ. ბ. კანდელაკი, პროფ. ვ. კუპრაძე, პროფ. მ. მოსტკოვი, აკად. ნ. მუსხელიშვილი (პასუხისმგ. რედაქტორი), პროფ. მ. ნოდია, პროფ. დ. სოსნოვსკი, წ.-კორ. ა. შანიძე, აკად. ივ. ჯავახიშვილი, პროფ. ს. ჯანაშია (პასუხისმგ. რედაქტორის მოადგილე), პროფ. ა. ჯანელიძე.

Редакционная коллегия

Чл.-корр. Г. С. Ахвеледiani, акад. И. С. Бериташвили, проф. Л. П. Гокиели (отв. секретарь), акад. И. А. Джавахишвили, проф. С. Н. Джанашиа (зам. отв. редактора), проф. А. И. Джanelidze, проф. Ф. А. Зайцев, проф. Б. С. Канделакки, проф. В. Д. Купрадзе, проф. М. А. Мостков, акад. Н. И. Мухелишвили (отв. редактор), проф. М. Э. Нодия, проф. Д. И. Сосновский, чл.-корр. А. Г. Шанидзе.